ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

№ 38 (11344)
ᲙᲕᲘᲠᲐ
15
ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ
1959 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ

მაღალი კვარცხლბეკიდან მგზნებარე შემართებით გაჰყურებს დედაქალაქს მუშისა და კოლმეურნე ქალის ბრინჯაოში გამოკვეთილი მონუმენტური, მეტყველი ქანდაკება. და ყოველთვის, როცა ფიქრობ მომავლის ადამიანზე, კომუნიზმის შემოქმედზე, უნებლიეთ გაგონდება შრომისა და ბედნიერების მადიდებელი ეს დიადი ძეგლი, საბჭოთა ხალხის უშრეტი ენერგიისა და თავდადების გამომხატველი.

არა ზოპრულმა, მითიურმა ძალამ, არამედ ჩვენმა სინამდვილემ შთაბერა სული ბრინჯაოს ქანდაკს, გადმოაბიჯა მან სოციალიზმის კვარცხლბეკიდან, და ვხედავთ ახალ ადამიანს, ხორცშესხმულს, ნაცხობს, მახლობელს, კომუნისტური შრომის შუქით გაცისკროვნებულს. მას ყველგან ნახავთ, ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ბრძმედთან თუ შახტში, ყანაში თუ ჩაის პლანტაციაში, სესიის სხდომათა დარბაზში თუ პარტიის ყრილობის მაღალ ტრიბუნაზე, სამშობლოს ხვალინდელ დღეზე ზრუნვით გამსჭვალულს.

მე ჩვენი გეგმების ვეტერანი სიდიადეს...

წერდა თითქმის სამი ათეული წლის წინათ ვლადიმერ მაიაკოვსკი პოემის ამ ანთებულ სტრიქონებს.

ახლანდელი ჩვენი გეგმები, ჩვენი დიადი შვიდწლედი თვით არის შრომითი გმირობის უკვდავი პოემა, რომლის ავტორებია — პარტია და ხალხი, ხოლო სათაური — კომუნიზმი. ამ პოემის თვითეული თავი კომუნიზმის ნათელი შენობის საფეხურია, და თვითეული სტრიქონი — ამ შენობისკენ მიმავალი უზუსტესი გზა.

ჩვენი დროის გრანდიოზული გარდაქმნების მიზანი საბჭოთა ადამიანის ბედნიერებაა. სწორედ ამიტომ მთელმა საბჭოთა ხალხმა მიიჩნია შვიდწლიანი გეგმა თავის უპირველეს და უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო საქმედ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის საბოლოო სიტყვაში თქვა:

„სასიხარულო და სასიამოვნო იყო ჩვენი პარტიის ყრილობის ტრიბუნიდან მოგვესმინა ძლიერი და რწმენით აღსავსე ხმა ადამიანებისა, რომლებიც შუაგულ ცხოვრებაში, ხალხის მასებში არიან, იმ ადამიანთა ხმა, რომლებიც იცნობენ და გამოხატავენ მილიონთა განწყობილებას, ფიქრებსა და გრძნობებს. ეს გამოსვლები ცხადყოფენ საბჭოთა ხალხის დიად აღმავლობას, რომელმაც პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ დავალებათა განხორციელებას“.

შვიდწლედის შემოქმედი საბჭოთა ადამიანია. დიადი ლენინის პარტიის მიერ გამოზრდილსა და გამობრძმედილს მას არ აშინებს არავითარი სიძნელე და წინააღმდეგობა. რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში, სამოქალაქო ომის სანგრებში. პირველი ხუთწლედების იერიშში, სამამულო ომის მრისხანე წლებში და ომისშემდგომ დაძაბულ შშენებლობაში წმინდად გამოატარა საბჭოთა ადამიანმა ურყევი რწმენა კომუნიზმის გარდუვალი გამარჯვებისა. და ახლა ამ დიადი შენობის კარიბჭესთან იგი გაასკეცებული ენერგიით იბრძვის პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ეს საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ბადებს ახალი ტიპის გმირებს, ჩვენი დროის გმირებს, რომლებმაც უკვდავი შარავანდედით შემოსეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის სახელი.

ერთი შეხედვით, ისინი არ ჰგვანან შეჯავშნულ მკერდიან და ხელშუბიან ტრადიციულ გმირებს, მაგრამ აბა გაეცინით მათს ლეგენდარულ საქმეებს! ისინი ამრავლებენ ქვეყნის დოვლათს, აშენებენ ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს, შახტებსა და რკინიგზებს, ქმნიან ფასდაუდებელ მატერიალურ-კულტურულ განძს.

ჩვენს რესპუბლიკაშიც კომუნისტურმა შრომამ შვა გმირების მთელი წყება. საქართველოს მუშათა კლასის სიამაყე არიან მეფოლადე არჩილ ძამაშვილი, მაღაროელი ტრიფონ ფოფხაძე, ელმავალმშენებელი გურამ ჩადუნელი, მეშახტე შოთა კუბლაშვილი, მემანქანე ილია ლაბაძე. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კარგად არიან ცნობილი ჩაის სარეკორდო მოსავლის ოსტატები ტატიანა ჩხაიძე, ტატიანა ტყებუჩავა, თამარ ყუფუნია, ტაშისკარელი მევენახე ივანე ხაჩიძე, მექანიზატორი ვლადიმერ მანაგაძე, ვაზის მესაიდუმლე ვლადიმერ დევდარიანი და მრავალი სხვა. დიდება მათ, ჩვენი დროის ჭეშმარიტ გმირებს! დიდება მათ, ვისი საგმირო საქმეები გვავსებს ურყევი რწმენით, რომ პარტიის გენიალური გეგმა ხორცს შეისხამს, რომ შვიდწლედის გრანდიოზული წინასწარდასახულობანი სულ მალე სინამდვილედ იქცევა.

ამჟამად მთელ ჩვენს დიად სამშობლოს მოედო გმირი საბჭოთა ხალხის წიაღიდან მომდინარე ახალი შესანიშნავი თაოსნობა — შვიდწლედი — ექვს წელიწადში! შვიდწლედი — ხუთ წელიწადში!

ჩვენი გეგმების სიდიადე, საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომა აღაფრთოვანებს და ახალისებს კეთილი ნების ადამიანებს მთელ მსოფლიოში.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ თქვენს წარმატებაში, — წერს პარიზელი მუშა გასტონ შონიარი, — მიუხედავად იმისა, რომ წინ გიდევთ გრანდიოზული შრომა. კარგად უნდა იცოდეთ, რომ, მოიგებთ რა ამ ბრძოლას, ამით დაგვეხმარებით ჩვენ, საფრანგეთის მშრომელებს, იმაში, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ, უკეთესი მომავლისაკენ“. ასე ფიქრობენ, ასე სწამთ ყველა ქვეყნის მშრომელებს, მათ მტკიცედ სჯერათ, რომ შვიდწლედის გამარჯვება მათი ბედნიერების საწინდარია.

იანვარში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში კვლავ უჩვეულო შუქით ამობრწყინდა მზე. იგი თან სდევდა პარტიის ყრილობის მუშაობას. ეს შუქი ეფინება დღეს მთელ ჩვენს ქვეყანას. და განა არის ჩვენს პლანეტაზე თუნდაც ერთი კუნჭული, სადაც არ მიეღწიოს ამ მზის ცხოველმყოფელ სხივებს, რომელსაც მოსდევს კაცობრიობის ნამდვილი გაზაფხული — კომუნიზმი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲠᲘᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲡ

რიაზანი. 13 თებერვალი. (საკადესი). დღეს რიაზანის ოლქის მშრომელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ლენინის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია ოლქი 1958 წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სწრაფი ტემპისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ოლქისათვის მთავრობის უმაღლესი ჯილდოს გადაცემას, შეკრებნენ სოფლის მეურნეობის მოწინავეები, სამრეწველო საწარმოთა წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ჩამოვიდნენ დელეგაციები ტულისა და ჩერნოვაცის ოლქებიდან, რომლებიც შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი რიაზანელებთან, აგრეთვე მოსკოვის, გორკის, იაროსლავლის, კოსტრომის, ივანოვოს, ვლადიმირის ოლქებისა და მორდვეთის ასს რესპუბლიკის დელეგაციები.

მჭეხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს,** ოლქის წარჩინებულ ადამიანებს, სტუმრებს, როცა ისინი კრების პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ნ. ს. ხრუშჩოვმა ლენინის ორდენი გადასცა ოლქის წარმომადგენლებს. დარბაზში იმართება ხანგრძლივი ოვაცია. მაღალ ჯილდოს იღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. ლარიონოვი და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ვ. ბობკოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელითა და დავალებით ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვმა** სულითა და გულით გულთბილად მიულოცა რიაზანის ოლქის ყველა მშრომელს მაღალი ჯილდო, უსურვა მათ ახალი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომაში, შვიდწლიანი გეგმის დიდებული პროგრამის ვადამდე შესრულება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ნ. ლარიონოვმა.

შემდეგ ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ოლქის საუკეთესო ადამიანები.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ და მრავალგზის შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშით.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

* * *

დღის მეორე ნახევარში ქალაქის ახალ „სპარტაკის“ სტადიონზე გაიმართა რიაზანის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.** (საკადესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივები განაგრძობენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს კანდიდატების დასახელებას.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად დაასახელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მეჟავანაძე,** ქარხნის ნოვატორი ზეინკლები **დ. დ. ამირანაშვილი, ნ. ი. ახიაშვილი,** ძალთა დანადგარების ოსტატ-უფროსი **ნ. კ. მიქაშავიძე.**

ქართველმა მწერლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე, მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი,** საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანი **ბ. დ. ჟღენტი,** მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანი **რ. ა. მარგიანი,** მწერლები **კ. ა. ლორთქიფანიძე, მარიჯანი** (მ. მ. ალექსიძე) და საქართველოს კომპარტიის კალინინის რაიკომის მდივანი **ე. ა. სალუქვაძე.**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

ამა წლის თებერვლის დამლევისათვის დასახული იყო, რომ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი კეთილი ნების ვიზიტით გამგზავრებულიყო ინდოეთს. კ. ე. ვოროშილოვის ავადმყოფობის გამო შეუძლებელია მოეწყოს მისი განზრახული გამგზავრება ინდოეთში.

11 თებერვალს ინდოეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა წინადადებით — გაგზავნოს ინდოეთში, როგორც სახელმწიფოს სტუმრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წევრი ა. ვ. შერემეტიევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაროვი.

საბჭოთა მთავრობა, ემყარება რა საბჭოთა კავშირსა და, ინდოეთს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მუდმივ სურვილს, მადლობით დათანხმდა ინდოეთის მთავრობის ამ მიწვევაზე.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია თებერვლის დამლევს გაემგზავრება ინდოეთს ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით. (საკადესი).

ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲨᲐᲝᲠᲯᲔᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲘ

ტყიბული. (საკ. კორ.). შაორის ჯესის მშენებელთა კოლექტივმა (უფროსი ვ. გასიტაშვილი) მორიგი შრომითი გამარჯვება მოიპოვა, მეტად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში წარმატებით დაამთავრა მეორე რიგის ყველა სამუშაო.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ

სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, დაწესებულებათა და სასწავლებელთა მოსამსახურეები, დიასახლისები, სტუდენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის — მარჯანის № 19 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლები — გუშინ შეიკრიბნენ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის კლუბში. აქ გაიმართა ამ საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ა. ფარულავამ.

— დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობით, საბჭოთა ადამიანის მაღალი სამოქალაქო მოვალეობის შეგნებით, საბჭოთა ადამიანისა, რომელიც გახდა თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, — თქვა მან, — ემზადებიან ჩვენი ოლქის მშრომელები რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მომავალი არჩევნებისათვის.

შემდეგ გამოსულმა თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წარმომადგენელმა მ. ბერიძემ და მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკის წარმომადგენელმა ს. აფციაურმა განაცხადეს, რომ მათმა კოლექტივებმა წინასაარჩევნო კრებებზე საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — მარჯანის № 19 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე.** დაახასიათეს რა ამხ. ჩუბინიძე, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი, მათ მოუწოდეს თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ მის კანდიდატურას.

თათბირზე გამოსულმა ყველა ორატორმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამხ. მ. დ. ჩუბინიძის კანდიდატურას და განაცხადა, რომ ოლქის ამომრჩევლები სიხარულით მისცემენ თავიანთ ხმებს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის წარმომადგენლებს.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც თხოვნით მიმართავს ამხ. მ. დ. ჩუბინიძეს დათანხმდეს კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის — მარჯანის № 19 საარჩევნო ოლქში. შემდეგ არჩეულ იქნა ნდობით აღჭურვილი პირები, მიღებულ იქნა მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი. (საქადესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ — ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ

ნახატი ი. ჭოკაიშვილისა.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲖᲝᲢᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲛᲬᲘᲤᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

რუსთავი. აზოტოვანი სასუქების ქარხნის სალექციო დარბაზში შეიკრიბნენ ინჟინერ-ტექნიკოსები, წარმოების მოწინავენი, ნოვატორები. ისინი მოვიდნენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კონფერენციაზე. მომხსენებელმა — ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ამხ. ა. შათირიშვილმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების დიად შვიდწლიან გეგმაზე, იმ გრანდიოზულ ამოცანებზე, რაც შვიდწლედით გათვალის წინებულია ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში.

დიდი სამუშაოები აქვთ შესასრულებელი რუსთავის ქიმიკოსებს. მათ 1965 წლის ბოლოსათვის ქიმიური პროდუქციის წარმოება ერთიორად უნდა გაზარდონ. ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

კონფერენციამ მიიღო მიმართვა, რომელსაც ვბეჭდავთ:

XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და აქტიურად ებმება შვიდწლიანი გეგმის — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

შვიდწლედის წარმატებით შესრულება განუხრელად დაკავშირებულია ტექნიკურ პროგრესთან მეურნეობის ყველა დარგში. ამ მნიშვნელოვან საქმეში კი ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკუთვნით გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გამომგონებლები და რაციონალიზატორები აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ქარხნის კოლექტივის შეუნელებელ შრომაში. სამი წლის მანძილზე, ქარხნის ექსპლოატაციის დაწყების მომენტიდან, ჩვენმა რაციონალიზატორებმა წამოაყენეს და დანერგეს 1.750 რაციონალიზატორული წინადადება და ტექნიკური გაუმჯობესება. ამან ქარხანას მისცა 10 მილიონი მანეთი ეკონომია.

ქარხანაში ყოველი მეშვიდე მუშა მონაწილეობას იღებს საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობაში.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გამომგონებლები, რაციონალიზატორები და წარმოების ნოვატორები, პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ეხურვალედ ვიწონებთ მოსკოვის ქარხანა „კაუჩუკის“ რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების თაოსნობას — **„შვიდწლედის სახელობის ნოვატორული წინადადებების ფონდის“** შექმნის შესახებ და მოგმართავთ თქვენ — რესპუბლიკის საწარმოთა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს **გავაჩაღოთ საყოველთაო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.**

ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ:

1. რაციონალიზატორებთან და წარმოების ნოვატორებთან შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საწარმოო-ტექნიკური და ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებების გატარების შედეგად მივაღწიოთ იმას, რომ შვიდწლედის ბოლოსათვის **ყველა მეხუთე მუშა გახდეს რაციონალიზატორი და გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების საკავშირო საზოგადოების წევრი.**

2. ყოველწლიურად თვითეული რაციონალიზატორი წამოაყენებს არანაკლებ **ორი წინადადებისა.** მივაღწევთ იმას, რომ წარმოებაში დავნერგოთ მიღებული წინადადებების 75 პროცენტი.

3. ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადებების დამუშავებისა და დანერგვისათვის ქარხანაში შევქმნით ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების **„შემოქმედებითი თანამშრომლობის“** 10 კომპლექსურ ბრიგადას და ამით მივაღწევთ წარმოების „ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციას.

4. რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების დანერგვის შედეგად შვიდწლედის მანძილზე გავაკეთებთ ეკონომიას და შევიტანთ შვიდწლედის სახელობის ნოვატორული წინადადებების ფონდში 30 მილიონ მანეთს.

გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების საქარხნო კონფერენცია მოწოდებით მიმართავს რესპუბლიკის ყველა რაციონალიზატორს და წარმოების ნოვატორს მიბაძოს ჩვენს მაგალითს და ამით თავისი წვლილი შეიტანოს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის საქმეში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: რუსთავი. აზოტოვანი სასუქების ქარხნის რაციონალიზატორთა ერთი ჯგუფი: (მარცხნიდან) ვ. სმელი — ზეინკალთა ბრიგადირი, რ. ბერაძე — უფროსი მეაპარატე, ზ. აშკენაზი — ინჟინერი, გ. ბითაძე — ტექნიკური ხელმძღვანელი, გ. ობოლაძე, ბ. გოგუაძე — ინჟინრები, ნ. გოგოლაძე — უფროსი მეაპარატე.

ᲤᲝᲢᲝ შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის შედეგებსა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც გაიმართა 13 თებერვალს. მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ, თქვა ამხ. მჟავანაძემ, რომელიც ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, მთელ მსოფლიოს დაანახვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიადი ცხოველმყოფელი ძალა, მათი ახალი ტრიუმფი.

ყრილობამ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მთელმა პარტიამ და ხალხმა, პლენუმისა რომელმაც ამხელა და იდეურად დაანადგურა ფრაქციონერებისა და გამთიშველების მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა ძირი გამოეთხარა პარტიის ერთიანობისათვის, აეცდინა პარტია ლენინური გზისათვის.

XXI ყრილობა შეიკრიბა დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მიჯნაზე, როცა საბჭოთა ქვეყანა სოციალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში უდიდესი გარდაქმნების შედეგად, სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე, შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ ღრმა კმაყოფილებითა და რევოლუციური სიამაყით შეაჯამა საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა შედეგები.

ამხ. მჟავანაძე დაწვრილებით ახასიათებს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდ, ყოველწლიური მატების უმაგალითო ტემპს პარტიის ორ ყრილობას შორის განვლილი პერიოდის მანძილზე, ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ძალებისა და ერთიანობის ზრდასა და განმტკიცებაზე, მშვიდობისათვის ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებზე.

ამჟამად, აღნიშნავს მომხსენებელი, საბჭოთა ქვეყანამ ისეთ ისტორიულ მიჯნას მიაღწია, როცა სოციალიზმის დიადი გამარჯვებები ცხოვრების ყველა დარგში საშუალებას გვაძლევენ პრაქტიკულად განვახორციელოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ განსაკუთრებით ნათლად არის განსაზღვრული ჩვენი ქვეყნის მთავარი ამოცანები შვიდწლედში ეკონომიური, იდეოლოგიური და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში. შვიდწლედის ძირიული პრობლემა არის კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების პრობლემა.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს სსრ კავშირის 1959-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებზე.

მომხსენებელს მოჰყავს ციფრები, რომლებიც მკაფიოდ ახასიათებენ შვიდწლედის წლებში მრეწველობის პროდუქციის ზრდის უდიდეს მასშტაბს, რომელიც პარტიამ დასახა.

ტექნიკის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განუწყვეტელი განვითარების ბაზაზე დასახულია შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში 45-50 პროცენტით, მშენებლობაში 60-65 პროცენტით, კოლმეურნეობებში —დაახლოებით ერთიორად.

შვიდწლიანი გეგმა გამსჭვალულია კომუნისტური პარტიის ზრუნვით საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამას მოწმობს საბინაო მშენებლობის უმაგალითო მასშტაბი, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, სამუშაო დღის შემცირება და ხელფასის გადიდება, განსაკუთრებით მცირეხელფასიანი კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, პენსიით უზრუნველყოფის გაუმჯობესება და ბევრი სხვა ღონისძიება.

საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილ იქნება ხალხის ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე, რომელიც წარმოუდგენელია, მიუღწეველია ყოველი კაპიტალისტური ქვეყნისათვის.

ყრილობის მონაწილეები, მთელი პარტია, მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი დარწმუნებული არიან, რომ შვიდწლიანი გეგმა იქნება გადაჭრეული ეტაპი ორი სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაში, კოლოსალური წინსვლა კომუნიზმისაკენ. შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება იქნება იმის ახალი დადასტურება, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები შეასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე, მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე. სსრ კავშირის შვიდწლიანი გეგმისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური გეგმების განხორციელება მძლავრ სტიმულს მისცემს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებას, შექმნის რეალურ შესაძლებლობებს, რომ თავიდან იქნას აცილებული ომი, როგორც საერთაშორისო საკითხების გადაჭრის საშუალება.

ამხ. მჟავანაძემ დაახასიათა იმ თეორიული პრობლემების უდიდესი მნიშვნელობა, რომლებიც შემუშავებულია ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილების, სხვა სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილების ღრმა განზოგადების საფუძველზე.

მოხსენებაში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება ეპოვეს თანამედროვეობის ისეთმა ძირეულმა საკითხებმა, როგორიც არის კომუნისტური საზოგადოებ ი ს ორი ფაზის, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებათა, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალიზმისა და კომუნიზმის პირობებში განაწილების, სოციალისტური საკუთრების საკოლმეურნეო და საყოველთაო-სახალხო ფორმების განვითარებისა და დაახლოების გზების საკითხები და სხვები. ამ საკითხების დამუშავება დიდი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის . გადაწყვეტილებათა უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობაზე.

მომხსენებელი შეჩერდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ამოცანებზე. ჩვენს გეგმებში, აღნიშნავს იგი, მკაფიოდ არის გამოხატული პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, რაც უზრუნველყოფს ფართო შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარებისათვის. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებებს, მის ბუნებრივ რესურსებსა და პირობებს, სახავს საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ახალი აღმავლობის უდიდეს პროგრამას. შემდგომ განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია, საბადოების მრეწველობა. დიდი სახსრები ხმარდება ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდის უზრუნველყოფას. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდება ქიმიური და ელექტროტექნიკური, აგრეთვე კვების, ჩაისა და ღვინის მრეწველობა. მაგალითად, 1965 წელს რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია 1958 წელთან შედარებით გადიდდება 8-ჯერ. ეს დიდმნიშვნელოვანი, ფაქტიურად ახლად შესაქმნელი მრეწველობის დარგი გამდიდრდება 22 ახალი საწარმოთი. ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის ახალი საწარმოების პროდუქცია შესაძლებლობას მოგვცემს შეიქმნას საჭირო ბაზა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი ელექტროფიკაციისა და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. მომხსენებელი ლაპარაკობს საქართველოს დედაქალაქში მძლავრი რვაღერძიანი მაგისტრალური ელექტრომავლების გამოშვებაზე, რომლებიც რესპუბლიკის სიამაყეს წარმოადგენენ. შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებით საქართველოში შეიქმნა ელექტრომავალმშენებლობა და შვიდწლედის ბოლოსათვის გამოშვებულ იქნება მეტი ელექტრომავალი, ვიდრე საფრანგეთში.

ჩვენ გვაქვს რეალური შესაძლებლობა გადაჭარბებით შევასრულოთ ჩარხების, ცემენტის, მინერალური სასუქების გამოშვების შვიდწლიანი გეგმა. ეჭვი არ არის, რომ ცალკეულ სახეობათა პროდუქციის მიხედვით დავალება ვადაზე ადრე იქნება შესრულებული.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მანგანუმის წარმოებას. რესპუბლიკაშია მსოფლიოში მანგანუმის ერთ-ერთი უდიდესი საბადო. შვიდწლედში მანგანუმის მადნის წარმოება ძლიერ გადიდდება. ფეროშენადნობის ჩარხნის სიმძლავრეთა და ენერგეტიკული რესურსების გადიდებისას ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვნად გავადიდოთ ლითონის მანგანუმის გამოშვება და ამით სახელმწიფოს დავუზოგოთ ათასობით ტონა მადანი.

ამხ. მჟავანაძე გადადის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანებზე. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას სულ ცოტა ერთნახევარ-ორჯერ. პირველ რიგში საქართველოში განვითარდ ებ ა ჩაის, ციტრუსოვანთა, ყურძნის, ხილის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მეჩაიეთა წინაშე დასახულია დიდი ამოცანა — 1965 წლისათვის მოკრეფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 170 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მაგრამ მოწინავეთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჩვენ გვაქვს რეალური შესაძლებლობა ამ დროისათვის სახელმწიფოს მივცეთ 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით სავსებით უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა საკუთარი წარმოების ჩაით.

1959 წელს უნდა უზრუნველვყოთ 133 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთლის მიღება, მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ სულ ცოტა 32 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, თამბაქოს წარმოება ავიყვანოთ 17.200 ტონამდე. შაქრის ჭარხლის წარმოება უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 145 ათას ტონას.

უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მეღვინეობის საწარმოო სიმძლავრეთა სწრაფი გადიდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას 150-160 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავება, რომელიც მოკრეფილ უნდა იქნას უკვე მიმდინარე წელს. ამასთან საჭიროა მივაღწიოთ ქართული ღვინოების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანებია დასახული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში. შვიდწლედში იგი გადიდდება ორნახევარჯერ, ხოლო ხორცის წარმოება დასახულია 31 ცენტნერიდან გადიდდეს 64 ცენტნერამდე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

მოხსენებაში აღძრულ იქნა აგრეთვე რესპუბლიკაში მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ძირითადი საკითხები მომავალ შვიდწლედში.

საქართველოს მშრომელები, ამბობს ამხ. მჟავანაძე, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ყველგან მტიცნეგებზე, კრებებზე, საუბრებში, რომლებიც ეძღვნება ყრილობის მუშაობის შედეგებს, მხურვალედ იწონებენ მის გადაწყვეტილებებს და აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. ჩვენი პარტიული ორგანოების ამოცანა ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ საყოველთაო სახალხო შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, საჭიროა კონკრეტულობა და მიზანსწრაფულობა მუშაობაში, საქმის ღრმად ცოდნა. მთელ ჩვენს ხელმძღვანელ კადრებს, დაწყებული კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებით, საწარმოთა დირექტორებით, სავსებით უნდა ჰქონდეთ შეგნებული თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. საჭიროა ბეჯითად განვაგრძოთ მუშაობა იმისათვის, რომ ყველა ჩამორჩენილი უბანი განვამტკიცოთ კარგი ორგანიზატორებისა და სპეციალისტების გამოცდილი კადრებით.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მზარდ როლზე. მათი მუშაობა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო დაემყარებიან ისინი მასების აქტივობას. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, რაც მიმდინარე წლის მარტში მოხდება, ხელს შეუწყობენ სააკთა სოციალისტური დემოკრა ტ ი ი ს შემდგომ გაფართოებას.

საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის თვიფეულმა კოლექტივმა, ამბობს მომხსენებელი, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისი შვიდწლიანი გეგმის შემუშავებაში, სერიოზულად მოიფიქროს, თუ რა ამოცანების გადაწყვეტას შეძლებს მისი კოლექტივი, რათა მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში. გეგმები დაძაბული უნდა იყოს, მაგრამ რეალური, უნდა ჰქონდეთ განხორციელების ბაზა და არ დარჩნენ ფარატინა ქაღალდად და დეკლარაციად.

მომხსენებელმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას. იგი ამბობს, მაგალითად, რომ საქართველოს ქვანახშირის კომბინატი მთელი რიგი თვეების მანძილზე ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს, რაც აძნელებს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ჭარხნის ნორმალურ მომარაგებას კოქსის კონცენტრატით.

ამხ. მჟავანაძემ მეტად მწვავედ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ფართო მოხმარების საქონლის ხარისხი, რადგან ბევრია ისეთი საქონელი, რომელიც მოსახლეობაში არ საღდება. ზოგიერთ საწარმოში სჯერდებიან გეგმების მხოლოდ რაოდენობრივ შესრულებას, არ ზრუნავენ, მაგალითად, ქსოვილისა და ფეხსაცმლის გამოყვანის ხარისხისათვის და სხვა „წვრილმანისათვის“, რომელთაც მყიდველი დიდ ყურადღებას აქცევს.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ მეტად დიდია საბინაო მშენებლობის ღირებულება, ლაპარაკობს იმაზე, რომ აღმოიფხვრას ჩამორჩენა საშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიული ბაზის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალები, — ამბობს მომხსენებელი, — უდიდესი მამობილიზებელი და შთამაგონებელი ძალის დოკუმენტებია. იდეოლოგიური მუშაობის მთელი საშუალებანი და ბერკეტები უნდა ამოქმედდეს, დაექვემდებაროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღრმა ახსნა-განმარტებას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში შემუშავებული თეორიული პრობლემების გააზრებას, შვიდწლიანი გეგმის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლას.

ჩვენმა პროპაგანდამ მშრომელები უნდა აღზარდოს კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლისა და პროპაგანდის შესახებ, ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება ხანმოკლე კამპანია კი არ არის, არამედ პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა მთელი რიგი წლებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ პროპაგანდისტული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთელი საშუალებანი იმ ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის, რომლებიც ყრილობამ დაუსახა მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას.

ყრილობისწინა დღეებში რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, წარმოიშვა შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა — შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის. ჩვენი გაზეთების, მთელი ჩვენი ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდის მოვალეობა და ღირსების საქმეა ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ამ მოძრაობას, გვიჩვენონ შვიდწლედის მოწინავე ადამიანები, მათი თავდადებული შრომა კომუნიზმისათვის.

ახალ, უფრო მაღალ დონეზე უნდა ავიყვანოთ მთელი ჩვენი სიტყვიერი პროპაგანდა, გამოვიყენოთ მისი ფორმებისა და საშუალებათა მთელი მრავალფეროვანი არსენალი: ლექციები, მოხსენებანი, საუბრები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ყველგან საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, მოაწყონ მშრომელთა კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შედეგებისადმი. პრესამ, რადიომ, გამომცემლობებმა უნდა უზრუნველყონ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების ღრმა გაშუქება, გამოაქვეყნონ სტატიები და მასალები, გამოსცენ წიგნები, პოპულარული ბროშურები, თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოები, მიძღვნილი შვიდწლიანი გეგმის ძირითადი თეორიული პრობლემებისა და პრაქტიკული ამოცანებისადმი. საჭიროა ყრილობის მასალების პროპაგანდაში ჩავაბათ ყველა კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ის, რომ მოეწყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალების შესწავლა პარტიული განათლების ქსელში. ეს შესწავლა უნდა იყოს შემოქმედებითი, ცოცხალი, ქმედითი, მჭიდროდ დაკავშირებული რესპუბლიკის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კონკრეტულ ამოცანებთან, საქართვ ე ლ ო ს მშრომელთა ბრძოლასთან შვიდწლედის გეგმების განხორციელებისათვის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. მჟავანაძემ თქვა:

— ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, საქართველოს კომუნისტებისა და ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით პირობა მივცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მუშები, კოლმეურნეები, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა და ამით ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი ამოცანის განხორციელების საქმეში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. გამოდის საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **შ. თითბერიძე.** რუსთავის მშრომელები, თქვა მან, მხურვალედ, სულითა და გულით იწონებენ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიდებულ პროგრამას, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ.

პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებით გამ ო წ ვ ე ულ შრომითს აღმავლობას მოწმობს წარმატება სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივისა, რომელმაც შვიდწლედის პირველი წლის პირველი თვის გეგმა მთელი მეტალურგიული ციკლისა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა. ქარხანაში კვლავ იზრდება შრომის ნაყოფიერება, ფართოვდება შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის. მეტალურგების მზარდი შრომითი აქტივობა ყველა საფუძველს ვვაძლევს ვიფიქროთ, რომ 1959 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით განხორციელდება. თავდადებით მუშაობენ აგრეთვე ამიერკავკასიის მეტალურგმშენის, აზოტოვანი სასუქის, ცემენტის ქარხნებისა და ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივები.

რუსთავში ხორციელდება დიდი მშენებლობა, ჩაიდება ახალსახეობათა ქიმიური პროდუქციის— კაპროლაქტამის, კაპრონის ბოჭკოს, მანგანუმის ორჟანგისა და სხვა პროდუქციის წარმოება. საჭიროა დროულად უზრუნველვყოთ მშენებლები ტექნიკური დოკუმენტაციით. ამ ახალი უმნიშვნელოვანესი ობიექტების ამუშავებას ბევრად დაეჩქარებს რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის საწარმოთა დამპროექტებელი სამეცნიერო ცენტრის (ინსტიტუტის ან ინსტიტუტის ფილიალის) შექმნა.

— საქართველოს დედაქალაქში ქალაქის საბჭოს ხაზით შვიდწლედში, — განაცხადა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ა. მელაძემ,** — აშენდება 1.200 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი — 2,8-ჯერ მეტი, ვიდრე აშენებული იყო წინანდელ შვიდ წელიწადში ყველა სამინისტროს, უწყების და ქალაქის საბჭოს აღმასკომის მიერ. საცხოვრებელ სახლებს ააშენებენ აგრეთვე სამინისტროები, უწყებები, სამრეწველო საწარმოები და სხვა ორგანიზაციები, ინდივიდუალური მშენებლები და კოოპერაციული ამხანაგობანი. თბილისს შეემატება ორი სასტუმრო, ორი აბანო, სამრეცხაო კომბინატები, მწყობრში ჩადგება საგურამოს ახალი და სამგორის წყალსადენის მეორე რიგი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს 1965 წელს ქალაქს მივცეთ 156 მილიონი კუბური მეტრი წყალი — ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს. დასახულია ქუჩების, მოედნების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოთა დიდი მოცულობა. რეკონსტრუირებულ იქნება ძველი ხიდები მტკვარზე. თბილისში შენდება სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების ახალი შენობები, ახალი საავადმყოფოები, სამშობიარო სახლი. შვიდწლედში დიდად განვითარდება ადგილობრივი მრეწველობა — კერძოდ, მზა საშენი დეტალების საწარმოები საცხოვრებელი სახლების ასაგებად და ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის. ამ ხნის განმავლობაში დასახულია აშენდეს ადგილობრივი მრეწველობის 27 ახალი საწარმო.

— ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, — თქვა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. სანაკოევმა,** — ფართო მასების შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლება გამოიწვიეს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის საფუძველზე თავიანთ შვიდწლიან გეგმას იმუშავებს ყოველი საწარმო და კოლმეურნეობა.

ამხ. სანაკოევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ოლქის კოლმეურნეები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის.

შრომითს ენთუზიაზმზე, რაც გამოწვეულია პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ილაპარაკა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშამ ამხ. **გ. რაჭველიშვილმა.**

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **გ. ჯავახიშვილს.** დაწვრილებით დაახასიათა რა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ მიიღო, მან აღნიშნა, რომ მისი წარმატებით შესრულება იქნება გადამწყვეტი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

— სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების დამახასიათებელი ნიშანი, — თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, — ის არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების განვითარების ინტერესები სავსებით ეხამება საერთო საკავშირო ინტერესებს. საქართველოში, მაგალითად, განვითარდება უწინარეს ყოვლისა სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომლებისთვისაც არსებობს ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობები. ისეთ უკვე დამკვიდრებული მრეწველობის დარგებთან ერთად როგორიც არის ქვანახშირის, შავი მეტალურგიისა და ენერგეტიკ ულ ი მრეწველობა, შვიდწლედში შეიქმნება და განვითარდება ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის ქიმიური მრეწველობა და, უმთავრესად, სინთეზური ბოჭკოს და მისი პროდუქტების წარმოება, ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია რესპუბლიკაში შვიდწლედის ბოლოს გადიდდება ექვსჯერ, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქცია 8-ჯერ.

შემდეგ ამხ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ახალ მშენებლობებს, ახალ სამრეწველო საწარმოთა უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით. იგი აყენებს საკითხს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გაძლიერების შესახებ შავი და ფერადი ლითონების, ნავთობის, გაზის დარგში, რათა შეიქმნას საკუთარი იაფი ნედლეულის ბაზა ამ მრეწველობისათვის. ორატორი რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ღირსეულად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დასვეს პარტიამ და მთავრობამ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების საკითხებს მიუძღვნეს თავისი სიტყვა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **დ. ქვლივიძემ** და მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ა. აივაზოვმა.**

მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და ალმზრდელობით მუშაობაზე, პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა და მასალების ახსნა-განმარტების მოწყობაზე ილაპარაკა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ე. ღავთაძემ.**

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადემ ამხ. **შ. შუბითიძემ** თავისი სიტყვა მიუძღვნა ფოლადის გამოშვების შემდგომი გადიდების, იმ ღონისძიებათა საკითხს, რომლებიც უზრუნველყოფენ რუსთაველი მეტალურგების მიერ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

— უფრო ორგანიზებული, უფრო ნაყოფიერი შრომა—აი მთავარი რამ, რაზეც დამოკიდებულია საქმის წარმატება, — თქვა თავის სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **პ. კოვანოვმა.** უფრო გაბედულად უნდა გამოვავლინოთ და სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩავაყენოთ წარმოების რეზერვები, ფართოდ დავნერგოთ ავტომატიზაცია და მექანიზაცია.

ამხ. კოვანოვი ლაპარაკობს, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საქმე, უარი ვთქვათ მშენებლობის კუსტარულ ხერხებზე და გადავიდეთ ინდუსტრიულ მეთოდებზე, რაც უზრუნველყოფს სამუშაოთა დაჩქარებასა და გაიაფებას.

ამხ. კოვანოვი. დაწვრილებით ლაპარაკობს შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე კოლმეურნეობებში, სამანქანო ტექნიკის ფართოდ დანერგვაზე. მარტო ბოსტნეულის წარმოების მექანიზაცია, აღნიშნა მან, შესაძლებელს გახდის ჰექტარზე საშუალოდ მივღოთ 350-400 ცენტნერი ბოსტნეული — 6,7-ჯერ მეტი, ვიდრე ახლა იღებენ მთელ რიგ მეურნეობებში. მექანიზაციის, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერთა მიერ რეკომენდებული პროგრესული ხერხების დანერგვა მკვეთრად გაადიდებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას. დასასრულ ორატორი შეეხო მთელ რიგ სასიცოცხლო საკითხებს, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას.

საშენ მასალათა წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე ლაპარაკობს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მ. ჩიქოვანი.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ამხ. **რ. დვალმა** დაწვრილებით ილაპარაკა რესპუბლიკის მეცნიერთა ამოცანებზე პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართვ ე ლ ო ს უფროსი ამხ. **ვ. ვადაჭკორია** ლაპარაკობს საქართველოს მანქანათმშენებლობის განვითარებაზე შვიდწლედში.

საქართველ

ფელეტონი

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის ავტობუსის სამმართველოს უფროსის ნიკოლოზ ფირცხალავას ფართო კაბინეტში თავი მოეყარათ სამმართველოს მუშაკებს. აქ იყვნენ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

ნიკოლოზ ანდრიას-ძე ცხარობდა.

— გაგიგიათ? კაცს დღედაღამ არ გეძინოს, წელებზე ფეხს იდგამდე, საქმისათვის იწვოდე და „ვდრუგ“ ვიღაც ვიგინდარები საჩივრებს ჭიაბნიდნენ, ამდენ ნამაგარს ერთი ხელისმოსმით წყალში გაიყრიდნენ, შემდეგ კი მოდიოდნენ და გამოწმებდნენ. მე უნდა მამოწმებდნენ? აფსუს... არა, ყველაფერი ეს ამ დანჯღრეული სამგზავრო ტაქსების ბრალია. მოგვიგდეს — თქვენ მოუარეთო. ვუვლით კიდეც, მაგრამ ამ „მოფერმახერებს“ ოტბში ვერ ამოვედით, ნამდვილი ყალთაბანდები არიან, აი მაგათი ქოში გაწყდეს.

— პატივცემულო ნიკოლოზ, — ჩავერიეთ ლაპარაკში, — ჩვენ უფრო სხვა რამ გვაინტერესებს. აგვიხსენით, გეთაყვა, როგორ მოხდა, რომ თორმეტი მსუბუქი მანქანა „ზიმ-12“ ჩამოგიწერიათ, ამათგან უმეტესობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მათი ექსპლოატაცია ჯერ კიდევ კარგა ხანს შეიძლება?

— რაო, საექსპლოატაციოდ ვარგაო?! ესენთან, რაები მოუჩმახავთ იმ „პისარებს“? დამაცადონ, მე მოვუვლი მათ! — წამოიყვირა ნიკოლოზმა, რომელს ცეცხლმოკიდებულ გულს ნავთივით ადალესხა ეს სიტყვები.

— ეარა, — არ ცხრებოდა სამმართველოს უფროსი, — პრინციპის საქმეა! მათ დუდუჭე ვერ ვითმაშებთ! გესმით, ხალხო, რა დაუწერიათ! მაშ ის არის საქმე, რომ ამ კარგ „ზიმებს“ მიგვეყვანა ფრთები ლუარსაბ თათქარიძის ეზოს კარივით ჩამოუკიდიათ და ქალაქში ეაგლაგი ცხენივით დალასლასებენ?...

აქ კი მართლაც ძნელი იყო კაცს მოზღვავებული ბოღმისათვის გაეძღო, და ნიკოლოზმაც შვებისათვის თავიდან მოშვებული ქოკე საწერ მაგიდაზე დაანარცხა.

— მაინც არ გვეტყვით, რატომ ჩამოწერეთ ეს მანქანები?

— რატომაც არა, დასამალავი რა გვაქვს. ჩვენ გვსურს და არა მარტო გვსურს, ეს ჩვენი ვალიც არის, კეთილსინდისიერად და კულტურულად მოვემსახურთთ ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს. ამასთანავე, ეს უკვე პატრიოტული ამბავიც არის, ვის ესიამოვნება, ასეთ დანჯღრეულ მანქანას რომ ხედავს ქალაქში. ამიტომ იმ 59 მანქანიდან ჩამოვწერეთ საექსპლოატაციოდ უვარგისი 12 მანქანა, ახლა დავშლით და მათი კარგი ნაწილებით დანარჩენებს შეეკეთებთ. მორჩა და გათავდა. რას ხედავთ ამაში ცუდს?

ნიკოლოზი არ ცხრებოდა.

— როგორ, მაშ თქვენ ჩემი არა გჯერათ?! შევამოწმოთ...

მართლაც შევამოწმეთ ჩამოწერილი ავტომანქანები. საცდელად „ГО 91-91“ და „ГО 92-17“ავიღეთ. ვიმოგზაურეთ კიდეც ოდენ ძნელად სავალ გზებზე. და აქ მოხდა ის, რასაც თვით პატივცემული ნიკოლოზიც ვერ წარმოიდგენდა. მანქანები სრულ წესრიგში აღმოჩნდა. მათი ძირითადი ნაწილები მშვენიერ მდგომარეობაშია, შეუფერხებლად მუშაობდა. ხოლო ავტოსაქმის სპეციალისტი, რომელიც ჩვენ გვახლდა, გაოცებისაგან თავს წამდაუწუმ იქნევდა.

ნუ იტყვის კაცი, ბედი ვერ დამციენებსო! მართალია, ნიკოლოზს სირცხვილისაგან პირში ნერწყვი გაუშრა, მაგრამ მაინც ვაქაცურად დუმდა.

ერთი დეტალიც.

როდესაც საცდელ „გარბენას“ ვაწარმოებდით, გზაში ამ დაწესებულების მართლაც დანჯღრეულ სამგზავრო ტაქსს წამოვეწიეთ. მისი მძღოლი ოფლში იწურებოდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა: ერთი, ორი, აბა ერთად... გამვლელთა დახმარებით ის უნაყოფოდ ცდილობდა ავტომანქანა როგორმე ადგილიდან დაეძრა. გავჩერდით. ჩვენი მძღოლი მყისვე გადმოვიდა კაბინიდან, მივიდა თავის კოლეგასთან და დახმარების მაგიერ ლანძღვითა და ყვირილით ყელში სწვდა... შე უნამუსო, ჩემი მანქანის „კაპოტი“ რათ მოგიპარავს, შენს მანქანაზე რატომ დაგიყენებიაო. ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, რომ პავლოვის ქუჩაზე მძღოლებმა ერთმანეთს „კაპოტი“ შეუცვალეს.

აი წესრიგი.

დავბრუნდით უკან. ნიკოლოზ ანდრიასძეს თავის კაბინეტში კვლავ ფერი მოუვიდა და გაცხარდა კიდეც...

— ახლა კი ვხედავ, სად არის ძაღლის თავი დამარხული. ყველაფერი ჩემი დოყლაპია მოადგილის, მთავარი ინჟინრის კლიმენკოს ოინებია, რომელიც ჩამოწერილი ავტომანქანების აღდგენისათვის როგორც ჩანს სათადარიგო ნაწილებს არიგებდა საწყობიდან.

— არც ასეა საქმე, — შეესიტყვა მთავარი ინჟინერი თავის უფროსს. მე ხომ სია მაქვს, — განაგრძო მან, — რომელშიც ჯერ კიდევ ამ მანქანების მიდება-ჩამბარების აქტში ჩვენ ერთად მოვნიშნეთ რომელი „ზიმი“ უნდა ჩამოგვეწერა.

შემდეგ?

— შემდეგ ის, რომ იმ ავტომანქანების დიდი ნაწილი, ამხანაგო უფროსო, რომლებიც დღეს შეამოწმეს და თავიდანვე შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო, როგორც მე ვიცი, არ უნდა ჩამოგვეწერა.

— მე ეგ არ ვიცი, ავტომანქანების ჩამოწერაზე მარტო უფროსი როდი აგებს პასუხს. თუ აქ ადგილზე შეეცდით, ავტონსპექციის მუშაკები შმულეკენი და ბალიაური, რომლებმაც სათანადო აქტი შადგინეს, ხომ არ შეცდებოდნენ? ესეც რომ არ იყოს, ამ საქმეზე თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის ნებართვაც ხომ გვაქვს? მორჩა და გათავდა!

ამხანაგო ნიკოლოზ! არა გვგონია, რომ ყველაფერი მორჩა და გათავდა. ვთქვათ, მართლაც ყველაფერი გათავდა ისე, როგორც თქვენ გსურთ, მაშინ რა უნდა ვუთხრათ იმათ, ვინც კარგად იცის, რომ იმ ავტომანქანების არასწორად ჩამოწერით, რომლებიც ექსპლოატაციიდან მოიხსნა, სახელმწიფოს ასეული ათასობით მანეთი ზარალი მიაყენეთ? ერთი წუთით დავუშვათ, რომ ყველა ავტომანქანა, რომელიც ადგილზე ვნახეთ, მართებულად იქნა ჩამოწერილი. თუ ეს ასე იყო, ჩამოწერილი ავტომანქანები რამდენიმე დღით ადრე რატომ შეაკეთეთ? რატომ გაეცით მათი აღდგენისათვის თანხები და დიდძალი სათადარიგო ნაწილები? და თუ ასეთი შეკეთებით შეიძლებოდა მათი საექსპლოატაციოდ კვლავ გამოყენება, რატომ არ გაეცით სათანადო განკარგულება?

ჩვენ შორის დარჩეს და ჩამოსაწერად განკუთვნილი ავტომანქანების პირველად აქტში, სადაც სწერია, რომ მათი ყველა ნაწილი თითქოს უვარგისია — აშკარა სიყალბეა ჩადენილი.

რა ვუყოთ, რომ ამ აქტს ავტონსპექციის მუშაკებიც აწერენ ხელს. ამბობენ, ზოგჯერ ისინიც „სცდებიანო“.

მართალი ბრძანდებით, ბატონო ნიკოლოზ, როდესაც ამბობთ, რომ აქ სადღაც ძაღლის თავია დამარხული. ჩვენ კი დავძენდით — თავი კი არა, მთელი ძაღლია დამარხული, რომელსაც კუდი ზემოთ დარჩენია და აშკარად ჩანს!

კ. სიხარულიძე,
ო. არობელიძე.

ეუგენ სუხონის „კრუტნიავა“ ოპერისა და გალეტის თეატრის სცენაზე

ათი წლის წინათ ქალაქ ბრატისლავაში ეროვნული თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ნიჭიერი კომპოზიტორის ეუგენ სუხონის ახალი ოპერა „კრუტნიავა“ („მორეკი“). ოპერას იმდენად დიდი წარმატება ხვდა, რომ მალე პრაღაშიც დადგეს. შემდეგ კი რესპუბლიკის სხვა უბნიკალურ ცენტრებშიც. სლოვაკი კომპოზიტორის ნაწარმოებმა ჩეხოსლოვაკიის ფარგლებს გარეთაც — გერმანიაში და შეტადრე ავსტრიაში — აღფრთოვანებული აღიარება ჰპოვა. საბჭოთა კავშირში „კრუტნიავას“ დადგმაზე მუშაობს რამდენიმე თეატრი. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა პირველმა განახორციელა ოპერის დადგმა.

ოპერა „კრუტნიავა“ შექმნილია სტეფან გეზის ლიბრეტოზე. გოზი ბრატისლავის საოპერო თეატრის მსახიობია და ოპერის პარტიას ასრულებს „კრუტნიავაში“. ამასთანავე იგი ჩეხოსლოვაკიის ცნობილი ხელოვნების კრიტიკოსი და ისტორიოგრაფია.

ეუგენ სუხონი თავის ნაწარმოების შექმნის პროცესის შესახებ წერს: „დიდი გულისყურით ვუსმენდი სლოვაკურ ფოლკლორულ ენას, სლოვაკურ ხალხურ სიმღერას, თვალყურს ვადევნებდი სლოვაკურ ეროვნულ ცეკვებს, ჩვენს წინაპართა ადათ-წესებს. ღრმად შევისწავლე ეს მძიმე სოციალური ჩაგვრის დროინდელი სლოვაკური სოფელი, ვცდილობდი მუსიკალურ ფორმაში გამომეხატა კარპატების ძირას მცხოვრები ხალხის ჭირი და ლხინი, საზრუნავი და ოცნებები“...

კომპოზიტორმა სრულყოფილად შეისწავლა ხორცი ამ იდეურ ჩანაფიქრს თავის მშვენიერ ნაწარმოებში. დიდი მღელვარებით ჰყვება იგი ერთ გლეხურ ოჯახში დატრიალებული დრამის შესახებ.

ქალაშვილ კატრენასა და ჭაბუკ იანოს ერთმანეთი უყვართ. საქორწილოდაც ემზადებიან. მეორე უფრო შეძლებულ გლეხს ონდრეისაც უყვარს კატრენა. მისი ხელში ჩაგდების მიზნით ონდრეი კლავს იანოს. იანოს თავზარდაცემული მამა მოხუცი შტელინა შვილის მკვლელს დაეძებს, მაგრამ ამაოდ. ვერ იქნა და ვერ მიაკვლია მკვლელს. კარგ ამბავებას გამოუღია მეგობი. ამასობაში ონდრეიმ გადაიბირა კატრენას დედინაცვალი ზალჩიკა და მისი ნათესავები, კატრენა ძალით მიათხოვეს მას. ქორწილის დღიდან ერთი წელიწადი გადის, კატრენას ეყოლა ვაჟიშვილი, მაგრამ ონდრეი ვერ პოულობს ბედნიერებას ოჯახში, მას სულ უფრო და უფრო ქენჯნის სინდისი, დაეწყებს სმას, ხშირად სცემს კატრენას ერთხელ მთვრალი ონდრეი ღამით ტყეში ბრუნდება შინ და იმ ადგილას ჩადგილის, სადაც იანო მოკლა. მის შეხსენებაში კვლავ აღდგება ჩადენილი ბოროტმოქმედების სურათი. მოგონებები იმდენად მტანჯველი იყო, რომ ონდრეიმ გადაწყვიტა თავის ფეხით გამოცხადებულიყო მართლმსაჯულების წინაშე. კატრენა აღიარებს, რომ მისი შვილის მამა იანოა. მოხუცი შტელინა მთელ შემორჩენილ ძალღონეს შვილიშვილს ანმარს.

ეს ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული სიუჟეტი დაედო საფუძვლად „კრუტნიავას“, რომელიც გამსჭვალულია ხალხის ღრმა სიყვარულით, მის ბედნიერ მომავალზე ოცნებით და იმ ადამიანების ბედ-იღბალზე ფიქრით, ცხოვრების ავბედით მორევს რომ ჩაუფრენია.

ფორმის მხრივ „კრუტნიავა“ არ არის ოპერა ამ ტერმინის კლასიკური გაგებით, ის უფრო მუსიკალური დრამაა, რომელშიც ავტორი მთავარ ყურადღებას გმირთა შინაგან ცხოვრებას უთმობს. ჭეშმარიტად აღტაცებას იწვევს კომპოზიტორის თამამი, მკვეთრად ინდივიდუალური მუსიკალური ენა, ინსტრუმენტირების დიდი პროფესიული ოსტატობა. ეუგენ სუხონი ფართოდ იყენებს სლოვაკური ხალხური მუსიკალური და სასიმღერო შემოქმედების მდიდარ წყაროებს.

გამორჩენილმა სპეციალისტმა მუსიკოსმა ო. დიმიტრიადემ ერთხელ კიდევ გამოავლინა თავისი დიდი შესაძლებლობები. იგი გვევლინება სპექტაკლის მთელი მუსიკალური და ვოკალური ნაწილის დიდ ორგანიზატორად და მხატვრულ ხელმძღვანელად. იგი ოსტატურად კითხულობს ოპერის პარტიტურის ურთულეს ფურცლებს. მუსიკოსები გულისხმიერად ხვდებიან შესანიშნავი დირიჟორის ყოველ განზრახვას, ნათლად მიაქვთ მაყურებლამდე პარტიტურის შვენიერება, მისი ფაქიზი მელოდიური ელფერი და ძლევს შესაჩინევი მუსიკალური „რეალიკები“. დირიჟორისა და ორკესტრის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს პირველ და მეორე მოქმედებას შორის მღელვარებით აღსავსე ქარიშხლიანი ინტერმეცოს და ოპერის მეოთხე, მეხუთე და ფინალური სურათების შესრულება, რაც დიდ ემოციურობას და მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვდა.

მომღერალთა მომზადებაში ო. დიმიტრიადის შესანიშნავი თანაშემწენი აღმოჩნდნენ ცნობილი კონცერტმეისტერები— რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტ. დუნენკო, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გორდონი.

დაკისრებულ ამოცანებს კარგად გაართვა თავი ავრეთვე რეჟისორმა ბ. კვალიაშვილმა. ოპერის სცენიური განხორციელების მის მიერ არჩეული გზა სწორი და ცხოვრებისეული. ამიტომაც ასე რეალური და დამაჯერებელია სპექტაკლის ყოველი ეპიზოდი. შესანიშნავად არის დადგმული მასობრივი სცენები (სურათები „ტყეში“, „ქორწილი“, „ონდრეის აღსარება“), სწორი განწყობილებით არის გამსჭვალული საინტერესო სცენები: „დაკითხვა“ და „ზიმონების სახლში“. რეჟისორს დიდი მუშაობა გაუწევია მსახიობებთან მოქმედ პირთა ხასიათების გახსნის მიზნით. ამიტომაც ცოცხლობენ სცენაზე შემსრულებლები თავიანთი გმირების ფიქრებითა და აზრებით.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. კუკულაძეს. სლოვაკიის თემების მის მიერ შექმნილი პეიზაჟები ნამდვილად მომხიბვლელია. კარგად არის ნაჩვენები აგრეთვე სლოვაკი გლეხების ცხოვრება მათს ყოფითს დეტალებში. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ღირსებებისა, სპექტაკლის მხატვრობა მაინც არ აღმოჩნდა ოპერის ბრწყინვალე პარტიტურის შემოქმედებითი სიახლის სფერომი.

ბრატისლავას ეროვნული თეატრის საბალეტო ხელმძღვანელმა მილან გერენმ, რომელიც მოწვეულია როგორც სპექტაკლის კონსულტანტი და ცეკვების დამდგმელი, გაგვაცნო სლოვაკური ხალხური ხელოვნება.

... ქორწილია, ქარიშხალივით ტრიალებენ გოგონები და ვაჟები. ამ ცეკვას მაყურებელი თითქოს ნიაღვარივით მოვარღნილი მხიარულების ატმოსფეროში შეჰყავს. მას სხვა სახასიათო ცეკვები მოსდევს. მოძრაობის სილამაზითა და სინარნარით ხიბლავს მაყურებელს ქალთა ლირიკული ცეკვა. მეტად ექსპრესიულია ვაჟთა ცეკვა „ვერხუნგა“. „ვერხუნგს“, როგორც დამდგმელმა მილან გერენმ განმარტა, სლოვაკი ჭაბუკები თავიანთი სიმკვირცხლის საჩვენებლად ცეკვავენ. ქორწილის დამამთავრებელ ცეკვას „შატკოვეცი“ ჰქვია ანუ ცეკვა მანდილით. ის სახუმარო ხასიათის ცეკვაა, როგორც „ვალანები“ ბოლო სურათში.

სპექტაკლში სრულყოფილად ეღერდა გუნდი (ხორმეისტერები რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. თერიშვილი და გ. ბუხრიკიძე). განსაკუთრებით ამახსოვრდება მსმენელს გალობა პირველ მოქმედებაში და ღამის სცენის ფინალი ტყეში.

სპექტაკლში თითქმის ყველა პასუხსაგებ პარტიას ახალგაზრდა მომღერლები ასრულებენ. მათ შესანიშნავად იგრძნეს ავტორის ჩანაფიქრი და სასახარულო შემოქმედებით წარმატებებს მიაღწიეს. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას ფრიად ნიჭიერი მომღერლების ნ. ანდღულაძისა და თ. მუშკუდიანის შესახებ.

ნოდარ ანდღულაძის ონდრეი სცენაზე გამოჩენისთანავე იპყრობს მსმენელს. ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ხერხებით ხატავს იგი შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე თავის გმირს. ყველაზე ძლიერ, დაუვიწყარ მთაბეჭდილებას სტოვებს იგი თანასოფლელების წინაშე ჩადენილი დანაშაულის აღიარების ამაღელვებელ სცენაში.

ბრწყინვალედ იმღერა მოხუცი შტელინას პარტია რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თენგიზ მუშკუდიანმა. იგი ოსტატურად ათასხმების ძლიერად გამომხატველ სიტყვასა და მოფიქრებულ თამაშს, ქმნის მოხუცი გლეხის კეთილშობილურ სახეს. მეტად ამაღელვებელია, როცა მუშკუდიანი — შტელინა ამბობს: „სიღარიბეში მყავს გაზრდილი ჩემი იანჩიკა“... და კატრენას დანაშაულდებლად წარმოთქმული სიტყვები „ნუ სტირი, საყვარელო“. ნიჭიერი მომღერალი ღრმად და სწორად გრძნობს თავის გმირს და ქვეტექსტში ოსტატურად უსვამს ხაზს რომ შტელინა ხვდება, ვინც უნდა იყოს მისი შვილის მკვლელი, ამიტომაც დასდევს იგი ონდრეის სინდისის ქენჯნასავით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სცენიურად და ვოკალურად ამ უღრესად რთული — ონდრეისა და მოხუც შტელინას როლების განსახიერებით ნ. ანდღულაძემ და თ. მუშკუდიანმა მიაღწიეს ნამდვილ ოტეიორულ გამარჯვებას და ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ხალასი ნიჭის მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალი — თანამედროვე ნოვატორული თვისებებით აღსავსე პარტიტურის აღქმის დიდი შესაძლებლობანი.

ავტორს შედარებით სუსტად აქვს დაწერილი კატრენას პარტია. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. შმალცელმა შექმნა ამაღელვებელი სახე ახალგაზრდა ქალისა, რომელსაც წილად ხვდა უდიდესი მღელვარება და მწუხარება. მომღერალი განსაკუთრებით მიმზიდველად ასრულებს კატრენას არია-მონოლოგს მეორე მოქმედებაში და იაგნანას — მეოთხე მოქმედებაში.

დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე სპექტაკლში მონაწილე სხვა მომღერლებმა. მათ შორის ავტორის მიერ ჩანაფიქრ სახეთა სწორი გახსნით გამოირჩეოდნენ სოლისტები **კ. ლაშკარეგა** (ოსწავლე) და **თ. ლობჟანიძე** (ზალჩიჩკა).

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ო. კუზნეცოვასა** და **ა. მურადოვას** მიერ მომხიბვლელი ვოკალურობით განსახიერებული სოფელი გოგონების მარკას და ზუზკას სახასიათო როლები.

ეტყობა, მწყემსი ბიჭის პარტია ბოლომდე ვერ აქვს დამუშავებული ახალგაზრდა მსახიობს **გ. დოლიძეს**. ნიჭიერმა მომღერალმა **თ. ზაალიშვილმა** შაფერის ეპიზოდურ პარტიებშიც გვაგრძნობინა ხმის სინარნარე და მომხიბვლელობა. კარგი იყო ეპიზოდურ როლში აგრეთვე **ბ. თომაძე**. გლეხთა მასობრივი სცენებიდან გამოირჩევიან მომღერლები **გ. ტორონჯაძე** (კრუპა) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ლ. არაქელოვი** (გრინი).

სლოვაკური ოპერის დადგმის ასეთი მაღალი მხატვრული ღირსებები ერთხელ კიდევ მეტყველებენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდ შემოქმედებით აღმავლობაზე. მისი მაღალნიჭიერი კოლექტივი უკანასკნელი წლების მანძილზე შემოქმედებითი ძიების გზით ახორციელებს მთელ რიგ ბრწყინვალე დადგმებს. ე. სუხონის ოპერის „კრუტნიავას“ დადგმა ჩვენი თეატრის სცენაზე აშკარად ამტკიცებს, თუ რა ღრმა პატივს სცემს ქართველი ხალხი მოძმე ჩეხოსლოვაკელი ხალხის შესანიშნავ მუსიკალურ კულტურას.

დავით თორაძე,
კომპოზიტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

* * *

სურათებზე: ზევით — სცენა ოპერიდან. კატრინა — გ. შმალცელი, ონდრეი — ნ. ანდღულაძე; ქვევით — ბრატისლავას ეროვნული თეატრის ბალეტმეისტერი მილან გერენი საბალეტო დასის სოლისტებს შორის სპექტაკლის შემდეგ.

ფოტო ხ. ონანოვისა.
(საქდესის ფოტოკრონიკა).

ეს კარ იყო გუშინ

საწარმოს დაბადება

ღრმაღელეში, ქსნის ქუჩის ბოლოს, სადაც ახლადაგებული საწარმოო კორპუსის დიდ ფასადს ალისფერ არშიაზე გაკეთებული ოქროსფერი წარწერა ამშვენებს — „დიდება კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის მედროშეს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“, ეს რამდენიმე დღეა დაირღვა ჩვეული მყუდროება. საღამოობით, როცა ზამთრის მზე დაისის მოახლოების ნიშნად დასავლეთისკენ გადაიხრება, ამ შენობიდან ახალგაზრდა გოგობიჭები გამოიშლებიან ხოლმე ქუჩაში, ხალისიანი ჟრიამული მოიცავს მთელ უბანს.

ეს ახლად ამუშავებული თბილისის ელექტროსაიზოლაციო მასალათა ქარხნის მუშები არიან, გასულ ზაფხულზე საშუალო სწავლადამთავრებული ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ ჭაბუკური ჩვევები, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ რომ ჩიტებივით თავისუფალი ეგონათ თავი, სანამ სახვალიო გაკვეთილების მომზადების საჭიროება არ გაახსენდებოდათ.

თბილისის ელექტროსაიზოლაციო მასალების ქარხანა ახალი შვიდწლედის ერთ-ერთი პირველი შენაძენია ჩვენი რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის. საიზოლაციო მასალები კი — სახვევები, საფენები და ა. შ. ელექტრომანქანათა მშენებლობაში ძირითადია. უამისოდ არ შეიძლება არცერთი ელექტროდადგმულობის, არცერთი ელექტროაპარატის გამართვა და ამუშავება. ჩვენში ამ მასალების ყველაზე დიდი და მძლავრი მომხმარებელია ელექტრომავალსამშენებლო ქარხანა, თუმცა ელექტროტექნიკური მრეწველობის სხვა საწარმოებსაც არანაკლები რაოდენობით სჭირდებათ სხვადასხვა საიზოლაციო მასალები. დღემდე ეს მასალები რესპუბლიკაში შემოგვქონდა საბჭოთა კავშირის შორეული მხარეებიდან, რაც დაკავშირებული იყო მრავალ უხერხულობასთან, ტრანსპორტირების სიძნელესთან.

საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები სულ მოკლე დროში მიიღებენ თბილისური მარკით გამოშვებულ საიზოლაციო მასალებს. ამ მასალების წარმოების ტექნოლოგიის შესასწავლად იყვნენ გაგზავნილი თბილისიდან საშუალო სწავლადამთავრებული ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრების სათანადო ქარხნებში. მათი ნაწილი უკვე დაბრუნდა საუკეთესო შეფასებით და შეუდგა მუშაობას ამიერიდან უკვე მათს მშობლიურ საწარმოში.

ქარხნის დირექტორი გ. სამხარაძე და მთავარი ინჟინერი მ. ფხაკაძე სიამაყის გრძნობით მოგვითხრობენ ამ ახალგაზრდა კადრების უნარიანი მუშაობის პირველი შედეგების შესახებ.

— ეს რამდენიმე ხანია, — ამბობს ქარხნის დირექტორი, — ავამუშავეთ ნედლეულის დამხარისხებელი უბანი, რაც საიზოლაციო მასალების წარმოების ტექნოლოგიაში პირველი საფეხურია. მიუხედავად წარმოების სიახლისა, ახალგაზრდები გასაოცარი უნარით დაეუფლნენ საქმეს და უკვე გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. განსაკუთრებით გამორჩეულია ამ მხრივ ზეინაბ წიკლაური, ვენერა მჭედლიშვილი, ნანული გობეჩია და ინესა პეტროსიანი.

მაგრამ დახარისხებულმა ნედლეულმა სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების გრძელი გზა უნდა განვლოს, სანამ მზა პროდუქციის სახით მოგვეევლინებოდეს. ამიტომ საწარმოს ხელმძღვანელები, როგორც კი მემონტაჟეები დაამთავრებენ შემდგომი საფეხურების საწარმოო უბნებზე არასტანდარტული მოწყობილობის გამართვას, მწყობრში აყენებენ ახალ-ახალ საწარმოო უბნებს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქარხნის ახალი საწარმოო კორპუსების მშენებლობა და უკვე მოთავებულ ფართობებზე რთული კონფიგურაციის დანადგარების მონტაჟი. ქარხანა მუშაობს, თან იზრდება, ფართოვდება და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება იმ მიჯნას, როცა მან სამშობლოს უნდა მისცეს წლიურად მრავალი მილიონი მანეთის პროდუქცია. ამაში მნიშვნელოვანი პირადი შრომითი წვლილი შეაქვთ მექანიკური უბნის ოსტატს ვ. ბოიჩენკოს, დურგალ დ. გელაშვილს, ქიმიკოსს ვ. გოლაშვილს, არასტანდარტული მოწყობილობის კონსტრუქტორს ი. მეიშვილს, ქარხნის მთავარ ტექნოლოგს ნ. ავალიანს, მთავარ მექანიკოსს ლ. კვიტინაძეს და მრავალ სხვას.

* * *

იქ, სადაც ახლა ეს ქარხანა მუშაობს, ხულ რამდენიმე თვის წინათ შიშველი ველი იყო. ქსნის ქუჩაც ყველაზე მყუდრო სამყოფელად მიაჩნდათ ღრმაღელეში. ახლა ამ ქუჩასაც დაეტყო დიდი ინდუსტრიული საწარმოს მოკიისცემა.

დაიბადა ახალი საწარმო.

იბადებიან ახალი სახელები.

დ. ამირანიძე.

* * *

სურათზე: ქარხის დამხარისხებელი უბანი. წინა პლანზე მოწინავე მუშა ნანული გობეჩია.

ფოტო შ. გოქაძისა.

ეგნატე ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად

1959 წლის აპრილში ჩვენი საზოგადოებრიობა აღნიშნავს ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, პირველი მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ დაარსების აქტიური მონაწილის ეგნატე ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავს.

ამ თარიღის აღსანიშნავად შექმნილია რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი ირ. აბაშიძის (კომიტეტის თავმჯდომარე), გრ. აბაშიძის, ა. ბალანჩივაძის, ს. დოლიძის, ვ. ესაიაშვილის, პ. ინგოროყვას, გ. ლეონიძის, კ. ლორთქიფანიძის, დ. მაწყვალის, გ. მელაძის, გ. ნატროშვილის, გ. ქიქოძის, ს. ჩიქოვანის, დ. ჩხეიძეშვილის, ვ. ჭელიძის, ს. ჭელაიას, უ. ჯაფარიძისა და გ. ჯიბლაძის შემადგენლობით.

საიუბილეო კომიტეტმა შეიმუშავა ე. ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებანი.

იუბილესთან დაკავშირებით გამოიცემა მწერლის ნაწარმოებები, აგრეთვე პოპულარული ნარკვევები და მოგონებები მის შესახებ.

გაკეთდება მემორიალური დაფები თბილისში, ზესტაფონსა და მახარაძეში იმ სახლებზე, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ე. ნინოშვილი.

25 აპრილს მწერლის სამშობლო სოფელ ჩანჩეთში (ლანჩხუთის რაიონი) გაიმართება მშრომელთა მიტინგი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით. 25 აპრილს ქ. ლანჩხუთში შედგება ე. ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო.

27 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება ე. ნინოშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

კომკავშირული ქარხანა

მახარაძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში მახარაძის რაისამრეწველო კომბინატმა გახსნა ახალი საკონსერვო ქარხანა. ქარხნის მანქანა-დანადგარები მოწყობილია თანამედროვე უახლესი ტექნიკის მიხედვით.

ქარხანა წელს გამოუშვებს 9 მილიონი მანეთის პროდუქციას.

აღსანიშნავია, რომ ქარხანა მთლიანად დაკომპლექტებულია საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კომკავშირელებით და მას უწოდეს კომკავშირული ქარხანა.

ახალი წიგნები

მუხრან მაჭავარიანი — წითელი მზე და მწვანე ბალახი, ლექსები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, რედაქტორი ი. აბაშიძე, გვ. 72, ტირაჟი 5.000, ფასი 1 მან. 10 კაპ.

აკაკი გეწაძე — მდინარის ტოტი, ლექსები, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, რედაქტორი ი. ნონეშვილი, გვ. 147 ტირაჟი 3.000, ფასი 2 მან. 30 კაპ.

ოთარ ჭელიძე — ვეფხვის ბალადა, ლექსები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, რედაქტორი თ. კოპლატაძე, მხატვარი ი. ჯანაშვილი. გვ. 136, ტირაჟი 2.000, ფასი 3 მან. 20 კაპ.

გრიგოლ იმედაძე — პოეტის დაბადება, ლექსები. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ვ. ჯავახაძე, მხატვარი ა. კანდელაკი. გვ. 108, ტირაჟი 3.000, ფასი 2 მან. 60 კაპ.

ზურაბ კუხიანიძე — გაფრენილი წერრები, ლექსები, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე. გვ. 44, ტირაჟი 1.000, ფასი 75 კაპ.

ჩვენი კალენდარი

სცენის უბადლო ოსტატი

ნატო გაბუნიას დაბადების ასი წლისთავის გამო

მეცხრამეტე საუკუნის ქართული თეატრი რომ ბედნიერია თავისი სცენის ოსტატებით, ეს უდავოა, და ჩვენი თეატრის ყველა პატივისმცემელის გულშია დადასტურებული.

ხალხი ამბობს: ბედმა საქართველოს სცენას მეცხრამეტე საუკუნეში თავისი უხვი კალთა დაბერტყაო და იქიდან არის, დღესაც ძვირფას მოსაგონრად რომ გამოსჭვივიან მაშინდელი სცენის ქართული ალმასები და მარგალიტები. თუნდაც მარტო ოთხი დავასახელოთ:

ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია და ლადო მესხიშვილი.

ასე მრავალმხრივ უხვად შემკული სცენის ოსტატები ერთსა და იმავე დროს იშვიათად თუ ევლინება მელპომენის ბაქანს.

ჩვენში კი ყველა ესენი სასახელონი არიან და გული სიხარულით გვევსება მათ გახსენებაზე.

ვიხსენებთ ლადო მესხიშვილის უებრო დრამატულ ნიჭს და აღტაცებულნი ვართ, ვასო აბაშიძის კომიზმის ულეველ მარაგს და თავწართმეევით ვხარხარებთ, ხოლო ამ ხარხარში რამდენი ჩამაფიქრებელი აზრია. იქვე „ეშმაკურად“ გამოგვხედავენ მაკო საფაროვას „ცლანგი თვალები“, ხოლო მისი ჭიკჭიკა ენა და სხარტი სხეული როგორი სიხარულით გვიხატავენ ქალის ბუნებას. ჩვენ მოხიბ

პარტიის XXI ყრილობა მოგრუნების მომენტი XX საუკუნის ისტორიაში

ჩინელი ხალხი მიესალმება საბჭოთა ხალხს

ალჟირი იბრძვის

შტრაუსი უფსკრულისაკენ უბიძგებს დასავლეთ გერმანიას

საგანგებო კავშირში ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოსავალი გამგზავრების განხილვა ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 12 თებერვალი. (საკდესის კორ.). მოსკოვში ინგლისის პრემიერ-მინისტრის მაკმილანის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე პარლამენტის ლეიბორისტ წევრთა ჯგუფმა გამოთქვა მთელი რიგი სურვილები, რომელთა მიზანია უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების უაღრესად ნაყოფიერი შედეგები.

ლეიბორისტმა ზილიაკუსმა პრემიერ-მინისტრის ყურადღება მიაქცია საბჭოთა მთავრობის წინადადებებს ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც განსახილველად წარედგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიურ კომისიას 1956 წლის აპრილში და განმეორებულ იქნა 1957 წელს. ზილიაკუსმა კითხა მაკმილანს, ხომ არ აპირებს იგი განიხილოს ეს წინადადებანი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად თავისი ვიზიტის დროს მოსკოვში იმ თვალსაზრისით, რომ მომწიფდა საჭიროება გაფართოვდეს ინგლისის საგარეო ვაჭრობა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულება სრულიად ევროპის ბაზრის შესახებ შეეიდეს ძალაში ინგლისის მონაწილეობის მიუღებლად.

განაცხადა რა, რომ ვიზიტის მთავარი მიზანია აზრთა გაზიარება პრობლემებზე, რომლებსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ, პრემიერ-მინისტრმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს ზილიაკუსის კითხვაზე, დასაბუთა რა ეს იმით, რომ მოლაპარაკებას ექნება კონფიდენციალური ხასიათი და რომ მას არ სურს წინასწარ დაასახელოს პრობლემები, რომლებიც დასახულია განსახილველად. მაკმილანმა აღუთქვა ზილიაკუსს, რომ „მხედველობაში ექნება“ მისი სურვილი.

პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა სუინგლერმა მოუწოდა პრემიერ-მინისტრს განიხილოს საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ერთად პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რაპაცკის გეგმა, რომელმაც, როგორც ცნობილია, წამოაყენა წინადადება, რომ ურთიერთ გაყვანილ იქნას ჯარები და შეიქმნას ევროპის ცენტრში უატომო ზონა.

მაკმილანმა თავი აარიდა პასუხს ამ კითხვაზეც.

პრემიერ-მინისტრისადმი სხვა შეკითხვებში ლეიბორისტული ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოსთხოვეს მაკმილანს უარი თქვას „თავისუფალი არჩევნების“ გზით გერმანიის გაერთიანების ყბადაღებულ გეგმაზე და სცადოს გამონახოს გერმანიის პრობლემის გადაჭრის გზა, რომელიც მისაღები იქნება საბჭოთა კავშირისათვის. ლეიბორისტმა რენკინმა, კერძოდ, მხარი დაუჭირა სრულიად გერმანიის ორგანოს შექმნას, რომელიც გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენელი იქნება საერთაშორისო მოლაპარაკებაში.

მ. ფედოროვი.

ვარშავის მოსახლეობა

ვარშავა, 13 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ეიცე ვარშავი“ იუწყება, გასული წლის 31 დეკემბერს ვარშავის მოსახლეობას 1.082.272 კაცი შეადგენდა.

ყოველი მხრიდან

სამარადისო მეგობრობა

სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეცხრე წლისთავი

პეკინი, 13 თებერვალი. (საკდესი). სინხუას საინფორმაციო სააგენტომ გადასცა შემდეგი დეპეშა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეცხრე წლისთავის გამო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ სუნ ციონ-ლინმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ა. ანდრეევს:

მოსკოვი. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ა. ანდრეევს.

ძვირფასო ამხანაგო ანდრეევ!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელის მოწერის მეცხრე წლისთავის გამო ნება მიბოძეთ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყველა წევრის სახელით უსაზღვრო სიხარულის გრძნობით გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით მთელ დიდ მოძმე საბჭოთა ხალხს ჩემი უაღრესად გულითადი და მხურვალე მოლოცვა.

უამრავი მკაფიო ფაქტი, რომლებიც მოხდა გასული ცხრა წლის მანძილზე, დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული შეკავშირება სოციალიზმის ბანაკის ერთიანობის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საიმედო გარანტიაა.

ჩვენ სიხარულით აღსავსე მოწმენი ვიყავით იმისა, რომ ამას წინათ საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაუშვა უდიდესი კოსმოსური რაკეტა და რომ წარმატებით ჩაიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ. ეს ამბები იყო საბჭოთა ხალხის ეპოქალური მნიშვნელობის დიდი წვლილი კაცობრიობის საერთო საქმეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მიერ მიღებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი განვითარების დიდებული პროგრამა კომუნიზმის მშენებლობის დიადი წითელი დროშაა...

ამას წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით საბჭოთა კავშირი დახმარებას გაუწევს ჩინეთს კიდევ 78 მსხვილი სამრეწველო საწარმოს და ელექტროსადგურების მშენებლობაში. ეს უდიდესად შეუწყობს ხელს სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში და ამის გამო გულწრფელ მადლობას გამოვთქვამთ.

ჩინელი ხალხი, რომელსაც თავისი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, თვალის ჩინივით უფრთხილდება ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების დიდ მეგობრობას და შეკავშირებას. ჩვენ ჩვენი კავშირის ერთგულნი ვიქნებით მუდამ და განუხრელად მოწმობს, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული შეკავშირება სოციალიზმის ბანაკის ერთიანობის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საიმედო გარანტიაა.

ჩვენ სიხარულით აღსავსე მოწმენი ვიყავით იმისა, რომ ამას წინათ საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაუშვა უდიდესი კოსმოსური რაკეტა და რომ წარმატებით

ფრანც-იოზეფ ნატოლეონ შტრაუსი სალაშქროდ გაემზადა.

ნახატი ჟურნალიდან „გდრ“.

ფრანც-იოზეფ შტრაუსს ძალიან ცოტა ვინმე თუ იცნობდა, როცა მან ძლივს გააღწია სტალინგრადის ფრონტიდან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალგაზრდა თაოსანთა მინისტრი მაშინ ნაკლებად შესამჩნევი ფიგურა იყო ჰიტლერულ ვერმახტში. მაგრამ შლეგი ეფრეიტორის ფანტასტიკური კარიერა მას მოსვენებას არ აძლევდა. და მაშინაც კი, როცა „ფიურერი“ საიქიოს გაემგზავრა, ფრანცმა გადაწყვიტა მის კვალს გაჰყოლოდა. იგი ბაძავს ჰიტლერს და ამავე დროს გერინგს. პირველისაგან ხასიათი გადაიღო, მეორისაგან — გარეგნობა.

გარეგნულად, წერდა ამერიკული ჟურნალი „ნიუსუიკი“, შტრაუსი ჰგავს ყასაბს, ლო. პირველად ავადმყოფობის ნიშნები ჩვენთან დაბადებულ პატარა „თემურს“ გამოაჩნდა. შემდეგ გრიპი ოჯახის უფროსებსაც „ხოზეს“ და „კარმენს“ გადაედოთ. აღსანიშნავია, რომ ამ ოჯახიდან გრიპის დაავადებისადმი გამძლეობა გამოიჩინეს უკანასკნელი თაობის წარმომადგენლებმა პატარა „თოლიამ“ და „ვეფხვიამ“.

ზამთრის ძილს მიეცნენ მახრჩობელა გველები და ნიანგები. ისინი ერთ ადგილას არიან მოკალათებული და გაუნძრევლად წვანან. დრო და დრო, როცა მათ სადგომებში და აუზებში ტემპერატურა მაღლა აიწევს, ისინიც იწყებენ გამოცოცხლებას, შეიშმუშნებიან, ამოძრავდებიან და ისევ ძილს მისცემენ თავს. მახრჩობელებმა უკანასკნელად გასული წლის ოქტომბერში სუამეს.

ყველაზე კარგად ამ ხიცივეში თეთრი დათვები გრძნობენ თავს. მათ ვერ აშინებს ყინვა და სიცივე და ღილიდან საღამომდე აუზებში ჟუუმპალაობენ. ორი პატარა თეთრი დათვის სადგომს ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული „საოკეანო გემის „სოხუმის“ ეკიპაჟის საჩუქარი“. საინტერესოა მათი ისტორია: საოკეანო გემი „სოხუმი“ მორიგი რეისიდან ბრუნდებოდა მურმანსკში. გემის კაპიტანმა ა. ბრომბერგმა ლაპტევის ზღვაში საკმაოდ დაშორებულ მოდრეიფე ყინულზე შეამჩნია თეთრი დათვების ჯგუფი — დედა დათვი და ორი ბელი. კაპიტანმა ბრძანება გასცა დათვების ცოცხლად დაჭერის შესახებ. გემიდან სასწრაფოდ ჩაუშვეს კატერი. ოპერაციის ხელმძღვანელობა დაეკისრა მეზღვაურ ა. მატკინს, რომელიც შეიარაღდა საკმაოდ მოზრდილი დანით, თან წაიღეს თოკის დიდი ბადეები.

კატერის მიახლოებისას დედა დათვი დაუპატიჟებელი სტუმრებისაკენ გაემართა. მეზღვაურმა მიტკინმა მას მიაყენა ორი ჭრილობა, რაც სასიკვდილო აღმოჩნდა. დათვი კატერზე ამოათრიეს, თვითონ კი ყინულზე გადავიდნენ, სადაც ორი პატარა ბელი გულუბრყვილოდ თამაშობდა. მეზღვაურებმა ბელები სასწრაფოდ გაახვიეს ბადეში. რამდენიმე წუთის შემდეგ ნადავლი უკვე გემბანზე იყო. კაპიტან ბრომბერგის წინადადებით თეორი დათვის ხელები ქალაქ სოხუმს აჩუქეს. სოხუმის ხელმძღვანელობამ კი კაპიტან ა. ბრომბერგთან შეთანხმებით ეს საჩუქარი თბილისის ზოოპარკს გადასცა. ჩვენც ნიშნად მადლობისა ამ ბელებს „სოხუმი“ და „აფხაზეთი“ დავარქვით.

თავს ცუდად არც ჩრდილოეთის ირმები გრძნობენ, მათ ოჯახს გასულ წელს პატარა ნეური შეემატათ. ეხლა მას უკვე რქები უმშვენებს თავს.

დიდი ხანია თბილისის ზოოპარკში არჩვი არ ყოფილა. არჩვი ტიპიური მთის ცხოველია. ტყეეობას და ბარის ჰავას ძნელად იტანს. ამიტომაც არის, რომ ზოოპარკებში იშვიათად გვხვდება, ხოლო თუ მოხვდა, დიდხანს ვერ ცოცხლობს. ამჟამად ჩვენს ზოოპარკში ორი არჩვი ცხოვრობს, მათ გამოეყოთ მოზრდილი ვოლიერი, აუშენდათ კაპიტალური ბინა, ეძლევათ შერჩეული საკვები. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ძალიან კარგად გრძნობენ თავს.

აკლიმატიზაციის შედეგად ღია ვოლიერებში ატარებენ ზამთარს ავსტრალიის მკვიდრნი — კენგურუს ოჯახი, ავსტრალიის შავი გედი და ხუპუპა თუთიყუშები, აფრიკის ზებრა, ანტილოპები გნუ და კანა, ინდოეთის ანტილოპა ნილგაუ, მუნჯკაცების ოჯახი და სხვ. ყოველთვის ბევრი მნახველი



ზამთარი თბილისის ზოოპარკში

თუმცა წელს თბილისში ეს ორი დღეა რაც თოვლი მოვიდა, მაგრამ ზოოპარკში მაინც იგრძნობოდა ზამთარი. თბილი ქვეყნის ცხოველები ზამთრის რეჟიმზე არიან გადაყვანილნი. თბილ ბინებში არიან ჩაკეტილი სპილო „მალკა“, ბეჰემოთები, ნიანგები, მაიმუნები და სხვ.

საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობები აქვს შექმნილი ადამიანის მსგავს მაიმუნს შიმპანზე „ჩიტას“, მაგრამ გრიპის ეპიდემიას მაინც ვერ გადაურჩა. ათ დღეზე მეტი იავადმყოფა: საჭმელს აღარ სჭამდა, საშინელი უხასიათობა დასჩემდა, მთელი დღე ერთ ადგილზე იჯდა მობუზული. მოწვეულ იქნა საუკეთესო სპეციალისტების კონსილიუმი. გადაწყდა სასწრაფოდ დაგვეწყო სტრეპტომიცინით და პენიცილინით მკურნალობა. ეს არც ისე იოლი საქმე გამოდგა. საფეშაციო გალიაში მისი მოთავსება ვერ შეეძელით. სპეციალური საიზოლაციო კუთხე მოუწყეს თვით სადგომში და დაუწყეს მკურნალობა. ჩიტამ თანდათან კვებას მოუმატა, შემდეგ თამაშობაც დაიწყო. ამჟამად იგი მშვენივრად გრძნობს თავს.

გრიპს ვერც მტაცებელ ცხოველთა განყოფილების მკვიდრნი გადაურჩნენ. ავად გახდა ჯიქების მთელი საგვარეუ- ბილიოზე ვიწრო ადგილებში ბუჩქებს შუა გაჰკიდებს გამარყუჟებულ ბაგირს. მხეცი ამ ადგილზე რომ გაიცლის, თავს უთუოდ მარყუჟში გაჰყოფს. ბაგირი გაიჭიმება და მხეცს ყელზე შემოეჭირება.

მიხეილს არც თოფი ლალატობს. მაგრამ ერთი დათვის მსხვერპლი კანაღამ თვითონ გახდა. პირველი სროლით დათვი დაიჭრა და პირდაპირ მონადირისაკენ გამოქანდა. სანამ მიხეილი ერთლულიანი თოფიდან ცარიელ მასრას ამოიღებდა და სავსეს ჩადებდა, ვეება 400-კილოგრამიანი მხეცი სამ ნაბიჯზე მოვიდა, მაგრამ სწორედ იმ დროს იგრიალა თოფმა მეორედ.

მიხეილს ერთ წელიწადსა და სამ თვეში მოკლული ჰყავს 10 დათვი და 5 მგელი. ერთხელ ორი მგელი ერთად მოკლა „ჭოლევში“. მწყემსებმა შვებით ამოისუნთქეს. შარშან ფერმას არც ერთი პირუტყვი აღარ მოჰკლებია.

მიხეილი თავის თანამოსაქმეებთან ერთად განსაკუთრებული მზრუნველობით მწყემსავს და უვლის საზოგადოებრივ პირუტყვს. მეცხოველეობა ამ კოლმეურნეობაში სულ ალმავლობის გზით მიდის.

ვ. ლებანიძე.



ზესტაფონი. თანდათან უმჯობესდება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები. ამ მოკლე ხნის წინათ ბევრმა მათგანმა მიიღო ბინა ახლად აგებულ 52-ბინიან საცხოვრებელ სახლში.

სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე.

ფოტო ს. ონანოვისა (ხაქდესის ფოტოქრონიკა).

მდგომარეობა ალჟირში

პარიზი, 13 თებერვალი. (საკდესი). ალჟირში არ წყდება ბრძოლა საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულგანმათავისუფლებელი არმიის რაზმებს შორის. გააფთრებული ბრძოლა მოხდა გუშინ ალჟირ-ტუნისის საზღვრის ახლოს.

საფრანგეთის სამხედრო-საველე სასამართლოები კვლავ სჯიან ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებს. გუშინ ორანის სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა კიდევ 24 ალჟირელ პატრიოტს. 11 სხვა ალჟირელს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს.

საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალყურს ალჟირის ამბების განვითარებას.

გაზეთი „ლუმანიტე“ წერს: ომი ალჟირში მოითხოვს ახალ ადამიანთა გაგზავნას, ნახევარი მილიონი ჯარისკაცი, რომლებიც ალჟირში იმყოფებიან, „საკმარისი არ არის“. როცა პრემიერ-მინისტრი დებრე ალჟირში ჩავიდა, მას კვლავ მოსთხოვეს მაშველი ძალები.

გაზეთი „ლიბერასიონი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალჟირის სამხედრო-ფაშისტური პუტჩის შემდეგ გასულ ცხრა თვეში მდგომარეობა იქ კიდევ უფრო გართულდა. ალჟირში სულ ახალ მაშველ ძალებს გზავნიან. „ლიბერასიონი“ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ალჟირის „ეკონომიური“ განვითარების სხვადასხვა პროექტი სავსებით უსაფუძვლოა თუ იქ მშვიდობა არ იქნა აღდგენილი.

„ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით“

კაიროს, 13 თებერვალი. (საკდესი). კაიროს გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ ირანის მთავრობამ ჩაშალა საბჭოთა კავშირ-ირანის მოლაპარაკება.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ირანის მთავრობამ მოლაპარაკება შეერთებული შტატების ზეგავლენით ჩაშალა. „ალ-აჰრამი“ პირველ გვერდზე აქვეყნებს ცნობას სათაურით: „ახალი საერთაშორისო კრიზისი ახლო აღმოსავლეთში. ირანმა ითხოვა მოლაპარაკების მოწყობა საბჭოთა კავშირთან და უეცრად ჩაშალა იგი. ეიზენჰაუერმა, ბაიარმა და აიუბ-ხანმა ზეგავლენა მოახდინეს ირანზე. რუსეთი აფრთხილებს ირანის მთავრობას“.

სპორტი საზღვარგარეთ

⊙ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფება რუმინეთის არძიის ფეხბურთელთა გუნდი კკა, რომლის შემადგენლობაში შედიან ამავე ქვეყნის ეროვნული ნაკრების სპორტსმენები. პირველი მატჩი სტუმრებმა გამართეს გუანდუნის პროვინციის ფეხბურთელთა კოლექტივთან. შეჯიბრება წარიმართა რუმინელ ფეხბურთელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 3:0.

⊙ გრძელდება VI საერთაშორისო ველოსიპოლა ეგვიპტის გარშემო. ცხრა ეტაპის შემდეგ კვლავ წინ არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა კოლექტივი. საბჭოთა ველოსიპედისტთა ბრიგადა მეორე ადგილზე იმყოფებიან, ლიდერს ჩამორჩებიან 2 წუთით და 24 წამით. პირად ჩათვლაში ყველაზე უკეთესი შედეგი აქვს სსრ კავშირის გუდიის წარმომადგენელს ა. პეტროვს.

⊙ მსოფლიო ჩემპიონატის წინ კანადელი ჰოკეისტები, რომლებიც პირველობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტები არიან, მოგზაურობენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და აწყობენ საერთაშორისო მეხვედრებს. მორიგი მატჩი კანადელებმა გამართეს შვეიცის ქალაქ კარლსტადის ჰოკეისტებთან და მოიგეს შეხვედრა დიდი ანგარიშით 14:1. კანადელებმა დაამარცხეს ავრეთვე გეტებორგის ნაკრები გუნდი 8:1.

⊙ გერმანიის დემოკრატიული რეპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ჯაკარტაში გამართა საერთაშორისო შეხვედრა ინდონეზიის დედაქალაქის ნაკრებთან. შეხვედრა ხასიათდებოდა მწვავე ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 1:1. მეორე მატჩი გერმანელებმა გამართეს ჭ. სურაბაიაში ადგილობრივ ფეხბურთელებთან და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 8:0.

⊙ დასავლეთ გერმანიის ქალაქ ესენში ძოწყო საერთაშორისო მატჩი კრივში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის გუნდებს შორის. ძალთა თანაფარდობაში არსებითი განსხვავება არ იყო და შედეგიც ასეთივე აღმოჩნდა — მატჩი დამთავრდა ფრედ 10:10.

რამდენიმე სტრიქონით

◆ **გრიბოედოვის სახელობის თეატრის** მსახიობთა ჯგუფი საგასტროლოდ წავიდა ქუთაისში, სადაც მაყურებელს უჩვენებს ორ სპექტაკლს — ვ. როზოვის „სისარულის ძიებაში“ და ცოტა ადრე „ქარიშხალს“. ორივე სპექტაკლში მონაწილეობას იღებენ თეატრის წამყვანი მსახიობები.

◆ **170-ზე მეტი პიანინო** გამოუშვა მიმდინარე წლის იანვარში თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკამ, რომელიც განუწყვეტლივ ზრდის პროდუქციის გამოშვებას. შეიდწლიანი ბოლოსათვის ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს ხუთი ათას ცალ კლავიანი ინსტრუმენტებს.

◆ **ერთი წლის განმავლობაში** თბილისის მეცხოვრებთა ბინებში დაიდგა 4.000-ზე მეტი გაზის ქურა, რომლებიც მუშაობენ თხევადი გაზით. წელს თხევადი გაზის ბალონები დაიდგმება კიდევ 2.500 ოჯახში.

◆ **სამრეწველო საქონლის მაღაზია** გაიხსნა საბურთალოზე კომბინატორის ქუჩაზე ახლად აგებული სახლის (№ 12) პირველ სართულში. მაღაზიას აქვს ქალიშვილების, საგალანტერეო, ფეხსაცმლისა და სამეურნეო საქონლის განყოფილებები.

ა. ნ. სურგულაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ა. ნ. სურგულაძემ უნივერსიტეტის ისტორიის, ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918 წწ.)“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. სურგულაძისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

მწყემსი—მონადირე

დიდი ზარალი მოსდიოდა ონის რაიონის სოფელ მთისკალთის მეცხოველეობის ფერმის პირუტყვს დათვისა და მგლისაგან. როგორ ფხიზლად არ უვლიდნენ პირუტყვს მწყემსები, მაგრამ არ იქნა და არა — ზარალი თავიდან ვერ აიცილეს.

— ახე გაწამებული ვიყავით ნადირისაგან, — ამბობს ამ ფერმის მწყემსი მიხეილ იობაშვილი.— ძალიან გავმწარდი, გადავწყვიტე სამაგიერო მიმეზღო მტაცებლებისათვის.

და მწყემსმა ჯერ კიდევ 1957 წლიდან დაიწყო მხეცებზე ნადირობა.

ამ საქმისათვის მიხეილმა თოფთან ერთად ფოლადის წვრილი ბაგირიც გამოიყენა. ზაფხულში მწყემსობიდან თავისუფალ დროს ის სულ ტყეში ატარებს, ეძებს მხეცს ნაკვალევს, აკვირდება და სწავლობს, თუ მხეცი ხშირად რომელი ბილიკით დადის. ასეთ

ბილიკზე ვიწრო ადგილებში ბუჩქებს შუა გაჰკიდებს გამარყუჟებულ ბაგირს. მხეცი ამ ადგილზე რომ გაიცლის, თავს უთუოდ მარყუჟში გაჰყოფს. ბაგირი გაიჭიმება და მხეცს ყელზე შემოეჭირება.

მიხეილს არც თოფი ლალატობს. მაგრამ ერთი დათვის მსხვერპლი კანაღამ თვითონ გახდა. პირველი სროლით დათ-

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ქეთი და ეკატერინე (დღისით, მე-5 აბონ. მე-3 წარმოდგენა), ოტელო (საღამოს, მე-8 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის**—ტაიფუნი (დღისით), ნანა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — სამსახურიდან გაგიდგარი (დღისით), მეექვსე სართული (საღამოს), **რკინიგზელთა სახლი** — აღლუმი (მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა), **სანკულტურო** — წარსულის ჩრდილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელ ქუდა (12 ს.), რევოლუციის სახელობის (მე-27 აბონ., 4 ს.).

ᲙᲘᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, **პლეხანოვის სახელობის** კლუბი, **კოლხიდა,** **კიროვის სახელობის** პარკი, **საქართველო** (წითელი დარბაზი), — ორი ოჯახი, **ამირანი,** **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ი. ჭავჭავაძის სახელობის** კლუბი, **ყაზბეგი** — შვეიკი ფრონტზე, **კომკავშირელი,** **ოფიცერთა სახლი,** **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — **ერისკაცის** გული, **სპარტაკი** — **ეროლამეს,** **თბილისი,** **დიდუბე.** **გორკის სახელობის** **კულტურის** **სახლი,** **ნარეკვა** **კოოპერაციის** **კულტურის** **სახლი** — ჯადოქარი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:** რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდაცვლოსი — 3-06-88, **ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამოშვების — 3-81-65.

ᲣᲒ 01149 საქართველოს კპ ც.კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2